№ 37
კვირა, 19 თებერვალი 1895

1877—1895

ივერია

№ 37
კვირა, 19 თებერვალი 1895

ფასი:
ZAZETI DIRA:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12 . . .	10	—	6 . . .	6	—
11 . . .	9	50	5 . . .	5	50
10 . . .	8	75	4 . . .	4	75
9 . . .	8	—	3 . . .	3	50
8 . . .	7	25	2 . . .	2	75
7 . . .	6	50	1 . . .	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
ZAZETIS DASABARDELAD
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვის-გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

კნ. ანასტასია ბაადურის ასული ხერხეულიძისა, მარიამ გრიგოლის ასული ალექსი-მესხიევისა, კნ. ეკატერინე იაკინთეს ასული ბაგრატიონ-მუხრანსკისა, ნინო იაკინთეს ასული სვიმონოვიჩისა და ნინო სარდიონის ასული მაღალოვისა აუწყებენ-რა ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა **ქალიანა ქეთევან დიმიტრის ასულის ზამბაკურიან-ორბელიანისასა** სთხოვენ მობრძანდნენ გარდაცვალებულის დასაფლავებაზედ ორშაბათს, 20 თებერვალს, ანჩისხატის ეკკლესიაში, $9^1/_2$ სათზედ. პანაშვიდი შაბათს და კვირას, დღის 1 სათ. და საღამოს $7^1/_2$ საათზედ კუკიის მიხეილის ქუჩა, სახლი № 122. (2—1008—2)

ვკისრულობ

ყოველ გვარს **სასამართლო საქმეს**, როგორც სამოქალაქოს, ისისხლის სამართლისას, ვწერ ყოველ გვარს არზებს, ვტვირთულობ აგრეთვე **მაგულების განაქმაში დაბირავებას.**

მსურველთა მოგებრძანონ დიდის 8—10 სასთამდე და საღამოს 6—8 სასთამდე.

ადრესი: ჩუღურეთი, პანასევიჩის ქუჩა, სახლი ქობულაშვილისა, 17.

(15—8)

წლიური საზოგადო კრება.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ წევრთა, თანახმად საზოგადოების წესდების 11 §-სა, დანიშნულია 19 თებერვალს, დილის 11-ს საათზედ, სათავად-აზნაურთა ბანკის დარბაზში.

კრებამ უნდა განიხილოს შემდეგი საგნები:

1) წლიური ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1 ენკენისთვიდან 1893 წლ. 1 ენკენისთვამდე 1894 წ.

2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა ამ ანგარიშის და წარსულის სარევიზიო კომისიის მოხსენების შესახებ.

3) სავარაუდო აღრიცხვა შემოსავალ-გასავლისა 1 ენკენისთვიდან 1894 წ. 1 იანვრამდე 1895 წ. და მთელის 1895 წლისა.

4) მოხსენება გამგეობისა თავ. ივ. გ. მაჩაბლის მიერ საზოგადოების სახელზედ ბანკში შეტანილის ბროსეს პრემიის თანხის მოხმარების შესახებ.

5) არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა.

6) არჩევანი საზოგადოების თავმჯდომარისა და გამგეობის წევრთა.

ტფილისი, 19 თებერვალი.

ერთს თვეზე მეტია რუსეთის ჟურნალ-გაზეთობა იმის კვლევასა და სჯაშია დროა, თუ არა მოიხსოს გლეხთა გაროზვა.

ექმთა საზოგადოებანი, ერთბათ კრებანი და სხვა დაწესებულებანი ერთხმად აღიარებენ, რომ როზგი დიდად მავნებელია ფიზიკურად და ზნეობრივად. ბევრმა ამ დაწესებულებათაგანმა განაჩენიც დაადგინა—ვიშუამდგომლოთ მთავრობის წინაშე, რათა ამგვარი დასჯა აღკრძალულ იქმნასო. ზოგიერთი ე-ობათა კრებანი ვერც-კი ჰბედვენ—ითხოვონ, რომ საზოგადოდ ერთიანად იქნას მოსპობილი ეს სამარცხვინო და კაცის ღირსების შემბღალველი დასჯა. მაგალითად ჩისტოპოლის ერობამ დაადგინა—ვიშუამდგომლოთ, რომ ამ-ერიდგან აღარ დაეკრას „როზგი“ იმ გლეხთ, რომელნიც სასოფლო ან სხვა რომელსამე სკოლაში სწავლას დაამთავრებენო. საქმე იქამდის მივიდა, რომ საერთო ლაღადს სასულიერო ორგანომ „ცერკოვნ. ვედომოსტ.“-მაც ხმა მისცა: ამგვარი დასჯა ქრისტეს სარწმუნოების წინააღმდეგიც არისო.

ვინ წარმოიდგენდა, რომ მეცხრამეტე საუკუნის დამლევს, იმ საუკუნისა, რომელმაც მრავალი ჰუმანიური მოსაზრებანი განახორციელა კიდევაც, რუსეთის მწერლობა იმის ცდაში იქმნებოდა, რომ კარგად და საბუთიანად დაამტკიცოს—რა ვნება მოაქვს კაცის ზნეობისთვის „როზგის“ დაკვრას! მეოცე საუკუნის დასაწყისში, იმ საუკუნისა, რომელზედაც იმედი აქვთ რომ იგი მოსპობს საუკუნოებისაგან ნაანდერძევს, უსამართლობას და დაამყარებს ნამდვილს ქმობასა და ერთობას, რუსეთის საზოგადოება შიშითა და კრძალვით თხოულობს, მოისპოს სამარცხვინო სასჯელი, თუ სულ არა, იმათ შესახებ მაინც, ვინც სკოლაში სწავლა დაამთავრაო.

იმ დროს, როდესაც ევროპისა და ამერიკის ერთა წაღლილია პოლიტიკური და სხვა ყოველ-გვარი მოქალაქობრივი უფლებანი მიენიჭოს ყველას, განურჩევლად ექისისა, სიღარიბისა და სიმდიდრისა, რუსეთს აქამდის თავიდგან ვერ აუშორებია ბნელ საუკუნოებიდგან ნაანდერძევი ადამიანის ღირსების შემლახველი და სრულიად დამამცირებელი სასჯელი!

მერე ვინ არის საგანი ამ სასჯელისა?—ივივე გლეხი, რომელიც მთელს სახელმწიფოს ჰკვებავს, რომლის ღონეისა ტ ჯაფის ამტანს მხრებზედ მოსვენებით დაყრდნობილა მთელი ახლანდელი ცივილიზაცია, ხელოვნება, პოეზია და ყოველი ის, რითაც ერს თავი მოაქვს, რაც სახელმწიფოს დიდებასა და ძლიერებას შეადგენს!

თუმცა ეს ყოველივე უდავო ეშმარიტებაა, მაგრამ გლეხი მაინც სასოფლო დებულების კანონს, 36 მუხლის ძალით მაინც როზგით დასჯას ექვემდებარება, თუ დროზედ გარდასახადი ვერ გარდიახადა, თუ ზარმაცია, თუ დედ-მამის ურჩია, თუ ლოთია და სხვ.

რასაკვირველია, არც ერთი ზემოთ-მოყვანილი დანაშაულობა წასაქეზებელი და მოსაწონი არ არის, მაგრამ წარმოსადგენია ვანა, რომ ყოველ ამისგან შეეძლოს „როზგს“ გლეხის განკურნებაზ?!

იქნება ვინმემ იკითხოს, როგორ უყურებს თვით ხალხი ამ სასჯელს? ამის დასასურათებლად მოვიყვანთ დამსწრე კაცისაგან ნათქვამს ამბავს. ერთის სამზედრო განთლებულ კაცის თვალ-წინ, ყაზახ-რუსმა ვიღაცას სილა შემოჰკრა. იქ მყოფი რუსის გლეხი მივიდა ამ სამზედრო კაცთან და დაეკითხა: „შეიძლება, რომ ხატს შეახო ხელი?“ რასაკვირველია არაო,—უპასუხა გაკვირვებულმა სამზედრო კაცმა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ხატი ღვთის საება არის.

— თუ ფიცარზედ გამოსახულის ღვთის სახის ხელის შეხება არ შეიძლება, მაშ როგორ შეიძლება შეახო ხელი ადამიანს, რომელიც შექმნილა ხატად და მსგავსად ღვთისა?!

ლალი.

ახალი ამბავი

*** ჩვენ მიერ ზუგდიდში გაგზავნილ დეპეშის პასუხად შემდეგი პასუხი მივიღეთ:

15 თებერვალს, შუადღის შემდეგ სამს საათზედ პრინცმა აშილ მურატმა თავი მოიკლა თოფით. თოფის დაცემის უმალვე გადაიცვალა მთელის სახლობის წინაშე. იგი იყო ავად ციებითა, რომელსაც თან მოჰყვა ტვინის ანთება და ეს შეიქნა მიზეზად.

*** გუშინ წინ, 17 თებერვალს, კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების მოწვერილობა მოუვიდა სამეურნეო სამინისტროსაგან, რომლითაც იგი ამ თვის 24-ს საფილოქსერო კრებაზედ იწვევს დასასწრებად საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტს ბ ნს შიმანოვსკის, აგრონომებს თავ. ანდრონიკოვსა და სტაროსელსკი I-ლს, რომ თავიანი მოსაზრება წარადგინონ კავკასიაში და საზოგადოებისა ცოლს, საბრალო ქალს გული გადმოუბრუნდა ისე შორს წასვლის გაგონებაზედ. მაგრამ, თუ-კი ჰაგა კარგი იქნება, თუ-კი ბავშვები იქ უკეთ იქნებიან, ვიდრე ამ მოსაწყენს ლილში, რატომ არ წავა იმ უცხო ქვეყანაში? სხვა ხალხი ხომ სცხოვრებს იქა, სხვა ბავშები ხომ იზრდებიან; იქ დარჩებიან რამდენსამე წელიწადს და დაბრუნდებიან, არც ასე ღარიბებად. და თუ ველარ შეიძლებენ დაბრუნებას... მერე რა, განა ქალის სამშობლო იქ არ არის, სადაც იმისი ქმარი და შვილები არიან?

ტერეზია ამხნევებდა იულონს, ურჩევდა, კარგად გამოეკითხნა იმ ქვეყნის გარემოება, ვიდრე წასვლას გადასწყვეტდა და მერე დღეს დილით, როდესაც იულონი წვიდა, ის შეუდგა ყოველისფრის მზადებას. ხანგრძლივის მოგზაურობისათვის მთელი დღე საქმეში იყო გართული, ხელი არ გაუჩერებია, რომ ამითი მაინც გადაეყოლებინა გული და მწუხარებას არ მისცემოდა.

საღამოზედ იულონი დაბრუნდა ბირობის წერილიც მოიტანა. ამ ბირობის ძალით იულონს სხვაზედ მომეტებული ფასი ეძლეოდა; ის გემი,

ფელეტონი

რაც გინდოდეს ის იყავი.

შენ თუ მზე ხარ სხივ-მომფენი,
გამფანტველი ბნელ-წყვდიადის,—
ვარ ცისკარი მოკაშკაშე
მოციქული განთიადის.
შენ თუ შენსა სხივთა კრებას
შემოახვევ კიდით-კიდეს,—
უხალისებს გულს იმედი
მუშაკს ჩემსა გარდამკიდეს.
შენ თუ გეტრფის არე, რადგან
ხარ გვირგვინი მშვენიერი,—
მე შენი ვარ წინამძღოლი,
შემომნატრის მთელი ერი...
შენ შენთვის და მე-კი ჩემთვის,
ორივე ვართ სხივ-ნათელი,
შენ შენი გაქვს და მე-ჩემი
საგანი და თვით სახელი!..,

—

შენ თუ ზღვა ხარ ზვირთ-მრისხანე,
მგრგვინავი და მაქუხარი,—
მე წყარო ვარ მოჩუხჩუხე,
კლდიდან კლდეზედ მაჩქეფარი.
შენ თუ ებრძვი კლდის ნაპირებს,
გემთა ჰმუსრავ, უწევ მტრობას,
მე ვუკოცნი გულ-მკერდს მთა-ველს,
ჩვენ ურჩურჩულებ თანაგრძნობას.

შენ თუ ქვეყნებს ნავოსნობით
აერთებ, არ ანაპირებ,—
მე ამ სოფელს იმ სოფელთან
აღერსითა ვაკავშირებ...
შენ შენთვის და მე-კი ჩემთვის,
შენც სჭირდები და მეც სოფელს...
ნუ მიღრენ, ნუ მემუქრები,
ნუ ჭლეს ჩემთვის მახვილსა მჭრელს!..

—

შენ თუ მუხა ხარ ასის წლის,
სდგეხარ დინჯად მედიდურად,—
მე ია ვარ თავ-დახრილი,
ვიღიმები საამურად.
თუ ამაყობ მით, რომ ნიავს
იშვიათად უძღვნი არეს,—
იმ ნიავთან სუნნელებას
მე ვთავაზობ გულ-მწუხარეს,
შენ თუ მუშაკს შუადღის დროს
ოფლს მოსწმენდ, ჩრდილს დაიფარებ,
იქვე „ნანას“ ვეტყვი მძინარს,
დავატკბობ და გავახარებ...
შენ შენთვის და მე-კი ჩემთვის,
არას ვუშლი მე შენს ფესვებს,
უსამართლოს, ხარბს, მოშურნეს
ღმერთი დაჰსჯის, დაიკენესებს!..

—

თუ ხარ ლომი, ნადირთ მეფე,
უშიშარი, სისხლის მსმელი,—
მე ვარ მკვირცხლი, მშვიდი, სათნო
და ლამაზი მთისა შვილი.

შენ თუ ბუდამ, განურჩევლად
ლეშით სძღები ტყედ და ველად,—
მე ჩემს ნუკრებს თავს ვევლები,
ვზრუნავ ძილის უნახველად.
შენ თუ შენი ბასრი კბილი
გვონია თვით სამართალი,—
მე სამართლად სიყვარული
აღვარე და ღვთის ძალი...
შენ შენთვის და მე-კი ჩემთვის,
ორივე ვართ ღვთის ქმნილება...
შენ შეგშვენის სულ სხვა წესი
და მე—სულ სხვა წყობილება!..

—

თუ ხარ ქორი, ან არწივი,
მყინვარებში იფარავ თავს,—
მე შაშვი ვარ მგალობელი
მწვანე ბურდი მზრდილ, მინახავს.
თუ მაღლა ჰფრენ, ვრცელს ბუნებას
დასტრიალებ კაღნიერად,—
მე აგერ ვფრენ, აგერ ვგალობ,
აქ ვგრძნობ ჩემს თავს ბედნიერად.
თუ რომ შვილებს დღიურ საზრდოთ
აწვდენ ნადავლს, მოტაცებულს,—
მე ჩემს ბახლებს ვუჩენ საკენკს,
ჩემის შრომით მოპოებულს...
შენ შენთვის და მე კი ჩემთვის,
გამშორდი და გამეყარე,
შენ შენი გაქვს მიჩენილი
სამყოფი და თვით სამარე!..

—

თუ ხარ კაცი... მაგრამ კმარა!
რაც რომ გსურდეს—ის იყავი:
გინდა კაცი, გინდა მხეცი,
გინდა ბუ და გინდა ყვავი!
რაც ინებო—ღმერთმა მოგცეს,
რაც ინატრო აღგისრულდეს,
ოღონდ ნაღმსა ნუ მიკეთებ,
ძირს ნუ უთხრი ამ ჩემს ზღუდეს!..

გრ. აბაშიძე.

«ბადასახლებული ოჯახი»*).

გადასახლება და დაბრუნება

(თარგმანი ფრანგულიდგან).

იულონი ძალიან აღელვებული იყო. მართლაც იმისი ცხოვრება ვერაფერი სასიამოვნო იყო. მაგრამ საფრანგეთის დატოვების გახსენებაზედ-კი გული სწყდებოდა. სამშობლოც ისეა, როგორც ბედნიერება, როგორც ჯანის სისაღე; არ აფასებენ, როცა აქვთ, ხოლო როდესაც დაჰკარგვენ, მაშინ შეიგნებენ იმის ფასს.

— ტერეზია დასთანხმდება იქ წასვლას, გაიფიქრა იულონმა?

ტერეზია მოუსვენრად ელოდა ქმარს, იულონმა ძალიან დაგვიანა.

როცა იულონმა საქმის ვითარება გაიგებინა, ... ოღონ ნაღმსა ... ძირს ... ...

გადოდ ფილოქსერასთან ბრძოლის შესახებ. თუმცა სამეურნეო სამინისტრო უყურადღებოდ არასოდეს არა სტოვებს ხოლმე კავკასიას, მაგრამ, სამწუხაროდ, ისეთს დროს ატყობინებს მუდამ ზემოხსენებულს საზოგადოებას, რომ იგი ვერ ასწრებს ხოლმე რიგიანად საქმის აწონ-დაწონვას და თავისის წარმომადგენლების მომზადებას, როგორც ამ ჟამად.

*** ტფილისის ქალაქის გამგეობის ბუჰალტერიამ? ამ ჟამად დაასრულა თავისი ანგარიშები, საიდგანაც სჩანს, რომ წარსულს წელს ქალაქს შემოსვლია 1.059, 805 მან. 61 კაპ. ამ დროს განმავლობაშივე დახარჯულა 943, 532 მ. 91 კ. ხოლო დასახარჯი აქვთ 84,047 მ. 55 კ. ამ გვარად მთელის წლის ხარჯი უდრის 1.027,580 მან. 46 კაპ. დანარჩენი 32,225 მან. 15 კ. ქალაქის სათადარიგო თანხას მიემატა.

*** აგერ ერთი თვეა, რაც ჩვენის დროის გამოჩენილი თვალთმაქცი ნიკოლოოს ალეკსანდრეს ძე კოზლოვი ტფილისშია. ჩვენი საზოგადოება უკვე იცნობს ამ ხელოვანს, რადგანაც კოზლოვი წინადაც ყოფილა ტფილისში. ეხლა კოზლოვი რამდენჯერმე აჩვენებს ტფილისის საზოგადოებას მეტად საყურადღებოს საკვირველს გამოკვლევას სულის საიდუმლოებისას და აგრეთვე სხვა-და-სხვა ხელოვნურს თვალთმაქცობას.

იგი რუსეთის გარდა ბევრს სხვა სახელმწიფოებშიაც ცნობილია, როგოც გამოჩენილი თვალ-მაქცი. ყოფილა ოსმალეთში, ეგვიპტეში, პოტ-სანდში, ბერლინში 1873 წ., ირიცხება გერმანიის ფიზიკურ კაბინეტის წევრად, ყოფილა ბორჯომში, თეირანში, და 1889 წ. ვენაში, ყველა ამ ადგილებში დიპლომებიან ქვეყნის მფლობელები, სამეფო სახლეულობა და უწარჩინებულესი კაცნი, რომლებისაგანაც მრავალი ჯილდო მიუღია.

*** ზაქათალა: წარსულის იანვრის დამლევამდე მშრალი და თბილი დღეები იყო. თებერვლის რვას-კი

რომლითაც მიდიოდნენ, თხუთმეტის დღის შემდეგ უნდა გამგზავრებულიყო.

— მგზავრებო ბულონისაკენ, ჩაბრძანდით! ჰყვიროდა რკინის გზის მოხელე; და მგზავრები ხელჩავლებულებს მიარბენინებდნენ ბავშვებსა და სუბუქს ბარგს ვაგონებისაკენ.

იულონიც იქ არის დაფიქრებული, ფაცა-ფუცშია. იმას ხელში უჭირავს თავისი ქალიშვილი, რომელიც ყველაფერს გაკვირვებით შეჰყურებს. იულონს მიაქვს დიდი კალათა, რაშიაც ტერეზიამ ბავშვებისთვის გზაში საჭირო ბარგი და აგრეთვე ცოტაოდენი საუზმე ჩაალაგა. „სასტუმროებსა და სადგურებში ყველაფერი ძვირიაო, ამბობდნენ მგზავრები. ტერეზიამ თავისი ძუძუს ბავშვი თბილს შალში გაჰხვია და მაგრა მიიხუტა გულზედ, თითქო ამითი უნდოდა თავის გამხნევება. აი დალაგდნენ თავიანთს ადგილებზედ მესამე კლასის ვაგონში; გაისმა კონდუქტორის სტვენა და მატარებელი დაიძრა.

მშვიდობით! მშვიდობით ქალაქო, სადაც სცხოვრებდნენ, სადაც მუშაობდნენ, სადაც „ტანჯობდნენ! მშვიდობით სახლო, ქუჩებო, სადაც ყოველ ნაბიჯის გადადგმაზედ ნაცნობს

გზაფუხულის მშვენიერი წვიმა მოვიდა ჭეშ-ქუხილით. ეხლა ჩვენში თოვლი არის.

*** პეტერბურგსკი: აქაურმა კომისარმა, ლეიბ მედიკმა ბერტენსონმა თავი დაანება თავისს თანამდებობას. დროებით აღმასრულებლად კომისარის თანამდებობისა დანიშნული არის მთა მადნის ინჟენერი ბ-ნი რუგეკვიჩი.

როგორც ამბობენ, კომისარის თანამდებობა უნდა გაუქმონ და სამაგიეროდ დირექტორები უნდა დანიშნონო. არ ვიცით, რამდენად მართალია ეს ამბავი.

*** ოქიდგანვე: ჩვენში სწორედ გასაოცარი ამინდი არის. დღეში ხუთჯერ იცვლება ამინდი: ხან თოვლქუხი მოდის, ხან წვიმა და ხან უეცრად გამოიდარებს და მშვენიერი კაშკაშა მზე გამოვა.

„ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲘᲡ ᲒᲐᲡᲬᲝᲠᲔᲒᲐ.

გუშინდელს ნომერში დაბეჭდილის „ფარაკითხვის საზოგადოების“ განცხადების მეორე მუხლი ფელეტონის მეორე სვეტშია გადატანილი.

ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝᲛᲝ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲐ.

---

17 თებერვალს მომხდარი კრება შემდეგი იყო სამშაბათის კრებისა და ეს საღამოც ფილოქსერის გამოკვლევას მოუნდა.

კრების დასაწყისშივე წაიკითხა მოხსენება ი. ვ. ალიბეგოვმა, რომელშიც ლექტორმა განმარტა თავისი აზრი იმის შესახებ, თუ როგორ მოეწყოს საფილოქსერო კომიტეტები. ბ-ნ ალიბეგოვის აზრით 2 სხვა-და-სხვა საფილოქსერო დაწესებულება უნდა არსებობდეს. ერთი ცენტრალური, სადაც საქმეს განსაკუთრებით მეცნიერების თვალით განიხილავენ, მეორე დაწესებულება, ანუ უკეთ ვსთქვათ, დაწესებულებანი (რადგანაც ბევრი უნდა იყოს) მაზრაში, რაიონებში იქმნებიან და უფრო პრაქტიკულად იმოქმედენენ. ამ სამაზრო კომიტეტში ყველა წოდებამ უნდა მიიღოს მონაწილეობა; კომიტეტებს

პირი-სახესა ჰხვდებოდნენ; მშვიდობით ყოველისფერო, რასაც იცნობდნენ, რაც უყვარდათ! ეს პირველი ნაბიჯია, მაგრამ ეს პირველი ნაბიჯი სწყვეტს ყოველისფერს დანარჩენ: ხვალინდელი დღე გამოთხოვება იქნება სამშობლო მიწისა, ედემ-ენისა, სიყმაწვილის მოგონებისა, მთელის წარსულისა. მერე რა ძნელია კაცისათვის ახალის ცხოვრების დაწყება!..

იულონმა იგრძნო, რომ რაღაც უცრობმა ნაღველმა შეიპყრო იმისი გული. ვაგონის ფანჯრიდგან ჰხედავდა როგორ გარბოდნენ სახლები, მინდვრები, ხეები და იმას ეჩვენებოდა, რომ ყველა ნაღვლიანად შესცქეროდა, დღიონებული და თითქოს ეუბნებოდნენ: „გეტოვებ შენ ჩვენ! რად გვანებებ თავს, რად მიდიხარ აქედგან?“ აი, სასეირნო ადგილი, სადაც ისინი წასულ კვირას იყვნენ; აგერ სამრეკლო იმ სოფლისა, სადაც ის მუშაობდა. აი, მეორეც, რომელსაც აგრეთვე კარგად იცნობდა, იქ რამდენისამე თვის სამუშაო ჰქონდა და ტერეზიაც თანა ჰყავდა: ეს იქ იყო, მაშო რომ დაეპადა... საბრალო პატარა! ბავშვრის უზრუნველობით თამაშობდა თავისის მამის

ეყოლებათ საკუთარი აგრონომები, რომელთან ერთად შეუდგებიან იმ შრომას, რომელსაც ეხლა ასრულებს არსებული საფილოქსერო დაწესებულება. ამავე საგანს შეეხნენ სხვა წევრნიც. სხვათა შორის:

ბ-ნი ქალანთარი ამბობდა, რომ სამაზრო კომიტეტები ბევრი არ უნდა იყოს. ჯერ-ჯერობით, მანამ ინტერესი არ არის გაღვიძებული ხალხში ფილოქსერასთან საბრძოლველად, ეგ კომიტეტები ბევრს სარგებლობას ვერას მოიტანენო. უკეთესი იქნება, ეგრედ წოდებული, ინსტრუქტორები დავაწესოთო; ეს სპეციალისტები იკისრებენ ბრძოლასაც და ხალხში სამეურნეო ცოდნის გარდაცემასაც, რასაკვირველია, ადგილობრივ მცხოვრებთა დახმარებითაო.

ბ-ნი ზაგტრეგერი წინააღმდეგი არ არის სამაზრო კომიტეტების დაარსებისა. მაგრამ იმათი შედგენა საძნელოდ მიაჩნია, რადგან არც ერობა გვაქვს და არც სინდიკატები. კარგი იქნება, ეს ერთ-ერთი ვითხოვოთ მთავრობისაგან და თუ დაგვიწესეს ან ერთი და ან მეორე, მაშინ არამც თუ მარტო ფილოქსერასთან გაგვიადვილდება ბრძოლა, არამედ ბევრ სხვა ამ გვარ სენთანაც.

ბ-ნ ინანაშვილს ჰგონია, რომ გლეხ-კაცი ვერ მოიცლის კომიტეტებისთვის, არც დრო და არც შეძლება არ ექნებაო თუ თავად-აზნაურებმა მაინც მიიღეს მონაწილეობა კომიტეტებში ეგეც საკმარისიაო, რადგან გლეხ-კაცი ხალისით მიჰბაძავს მებატონეს.

ბ-ნი ნატროშვილიც მომხრეა კომიტეტებისა, ოღონდ-კი ის გარემოება აქეს სახეში: კომიტეტების მოქმედება ფილოქსერიან ალაგებში ერთი უნდა იყოს და, სადაც ფილოქსერა არ არის, იქ სხვა გვარი. ამასთანავე ამ კომიტეტს უნდა შეადგენდეს სოფლის მცხოვრებთა გაგებული ნაწილი: მასწავლებელი, მღვდელი, შეგნებული მემამულე და სხვა, კომიტეტი სოფელსა და სამრევლო სასწავლებლებთან უნდა იყოს დაარსებული, ამითი უფრო მკვიდრი კავშირი

ვგერდით; ის შეახტა მამას მუხლებზედ და გაკვირვებული იმისის მოწყენილის სახით, წამ და-უწუმ შესცქეროდა თვალებში. დაჩვეული იყო, როცა მამა თავისუფალი იყო, ყოველთვის ეთამაშებოდა ხოლმე. დღეს რაღა დაემართა? იქნება ამ დიდს ეტლებში აღკრძალული იყოს თამაშობა.

სხვა მგზავრები მოკალათებულნი იყვნენ თავ-თავისს ადგილებზედ და ფიქრადაც, არ მოსდიოდათ თავისის მეზობლების სულის მდგომარეობას დაჰკვირვებოდნენ, იტანჯებიან თუ არა ესენი, რაში ენაღვლებათ? ხომ არ იცნობდნენ-და... განა ამ ქვეყნად ყველას თავისი ტვირთი არა აქვს სათრევი!.. მაგრამ არც იულონსა აქვს იმათთან საქმე; ის სრულიად გართულია თავისს მწარე ფიქრებში.

ოჰ, რა სიამოვნებით დაბრუნდებოდა ის უკან, დარჩებოდა, არ მოჰშორდებოდა თავისს სამშობლოს! მაგრამ, გვიან-ღა იყო: პირობის წერილი ხელ-მოწერილი ჰქონდა, გზასაც უკვე ადგნენ, მგზავრები მაღლ მივლენ იქ... იქ! მერე ყველა ეს იმათი დაპირებანი, ყველა ეს იმედები, რომ ფუჭი გამოდგეს; მოტყუება? სამუშაო რომ არ იყვეს, სიღარიბე

დამყარდება კომიტეტსა და ხალხს შორის. საზოგადოდ ყველა დიდს მნიშვნელობას აძლევდა კომიტეტებს და ხალხი მონაწილეობას საფილოქსერო საქმეში.

მეორე საგანი, რომელზედაც თავმჯდომარემ აღძრა ლაპარაკი, „ამერიკის ვაზის სანამყნოზედ იყო (ПИТОМНИКЪ); რადგან ამერიკის ვაზი ფილოქსერას უფრო უმტყუნებს—უმრავლესობა იმ აზრისა იყო, რომ ეს სანამყნოები უნდა გაიჩინონ ყველგან, რათა ხალხი ეხლავე მიეჩვიოს ამ ახალს ვაზს და მისი ხელი ისწავლოს. მაგრამ რაკი საშიშია, რომ ამ ვაზებთან არ მოჰყვეს რაიმე ავადმყოფობა გაფრთხილება არის საჭირო, მეტადრე უფილოქსერო ალაგებში. აქ სანამყნოები ცალკე უნდა იყვნენ გამართულნი, ისეთს ალაგებში, სადაც ვენახები მოშორებულნი არიან: ამ ალაგებიდგან დაურიგდებათ მსურველთ საღი ვაზის ლერწები; ავადმყოფს-კი დასწვავენ და ამოჰკლეკენ.

კრებამ ის აზრი გამოსთქვა, რომ აუცილებლად უნდა გავუადვილოთ კერძო მეპატრონეთ ამერიკის ვაზის გაშენება. ეხლა თუ სამინისტრომ არ დაჰპრთო ნება, ვაზს არ შემოუშვებენ საზღვარ-გარეთიდგან; კარგი იქნება, რომ ნება-რეთა კავკასიის საფილოქსერო ცენტრალურს კომიტეტსავე დასდოს ხოლმეო.

თუმცა-კი ბ-ნი ნატროშვილი საფრთხილეს ურჩევდა ამ საქმეში; ნებას ნუ მივსცემთ მაგ ვაზის შემოტანისას იქ, სადაც ფილოქსერა ჯერ არ არის. ვაი თუ მაგ ვაზმა თან საშიშარი სენიც შემოიტანოსო. კრებამ ეს აზრი არ შეიწყნარა.

სხვათა შორის, შემდეგი განხილა კრებამ: რა ვიყოთ იმ მეკვნეზეებს, რომელთა ვენახებს საფილოქსერო დასები ამოსჩეხავენ. ამათი ზარალი უნდა ზღოს ვინმემ თუ არაო? ყველა საერთოდ იმ აზრისა იყო, რომ სამართალი ითხოვს ზარალი უზღოთო, ბ. ი. ალიბეგოვის აზრით ამ განზრახვითი ცალკე ფონდი უნდა იყოს დაარსებულიო.

ანდრონიკაშვილის აზრით ვენახე-

რომ იქაც ისე იყოს, როგორც აქა, ვინ შეიბრალებს იქ საბრალო უცხოელებს? უცნობს მხარეს ყმაწვილი არაფერია, როდესაც თავი ყმაწვილად და ღონიერად გეგულება. მაგრამ, როდესაც თანა გყავს ცოლი და შვილები... ნაღვლით აივსო იულონს გული. გაშტერებული, კრიჭა-შეკრული მიეცა იულონი ამ მწარე ფიქრებს.

უცბად ვიღასაც თავი დაიღუნა და იმისს მხრებს დაეხედა; ორი თვალი მისჩერებია იმას; ტერეზია იქ არის. ტერეზია ჯერ სტეროდა და მერე-კი ბეღლ დაემორჩილა. იულონი ჩემზედ მეტად სწუხსო, —გაიფიქრა თავისს გულში და რა დაიგიწყა თავისი ზარები და შიში, მხოლოდ იმაზედ-ღა დაიწყო ფიქრი, რომ გაეხნევებინა ქმარი და მისთვის ნუგეში ეცა. ტერეზია მიუახლოდა ქმარს, რომ იმისაგან გაეგონა დამამშვიდებელი სიტყვები და პირ იქით ამას-კი დასჭირდა იმისი დამშვიდება და გამხნევება. ნელის ხმით დაუწყო მას ტკბილის სიტყვების ჩურჩული.

„როდესაც ერთმანერთი ეუყვართ, განა ყველგან კარგი არ არის, სადაც უნდა იყვნენ? მგზავრობა და ზღვის ჰაერი გაამგრეს ბავშვებს; პატარაც იქნება გემზედ აიდგას ფეხი. იქ, ავ-

---

სტრალიაში, არა ცივა. მშვენიერი ხეები და ყვავილებია, ისეთი, როგორსაც აქა ვხედავთ ხოლმე მდიდრების ბაღებში, საუკეთესო ფრინველები, რომლებსაც ჩვენი მაშო შეიყვარებს. ჩვენ იქ კარგად ვიცხოვრებთ; სამუშაო ხომ მისვლისთანავე გვეძენება, დარწმუნებული ვარ, რომ კიდეც გადავარჩენთ რასმე. როდესაც ერთმანერთი ეუყვართ და გულ-მოდგინედ მუშაობენ, ბოლოს ყოველთვის მოგებაში დარჩებიან, ჩემო იულონ. ამას გარდა განა ღვთის იმედი-კი არ უნდა გვქონდეს? ვიქონოთ იმისი რწმუნება და როგორც გვიყოფდეს, ისე მოვიქცეთ. შენ ნახავ, რა კარგად მოეწყობა ჩვენი საქმე.“

ტერეზია დაბალის ხმით დიდხანს ელაპარაკებოდა ისეთს სიტყვებს, რომლებიც იმისს ქმარს გულზედ მალამოს ჰხვდებოდა. იმანაც ამ ტკბილს ხმაზედ მოიკრიბა თავისი ვაჟკაცობა. ერთი ხელი მოჰხვია თავისს ცოლს, მეორე—შვილსა და რა მიიხუტა გულზედ ეს ორი ძვირფასი საუნჯე, იგრძნო, რომ ყოველფერისათვის მზად იყო. ტკლავში აქვს დიდი ძალა და გული სავსე აქვს სიყვარულით. ყოველივე სა-

კოლებას და მშვენივრად ჩაიარა. საზოგადოება ნასიამოვნები დარჩა. იმედია ამ კონცერტის მოთავე დაწვრილებით ანგარიშს გვაუწყებს.

ზაქათალელი.

ჩემს სატრფოს

რად მანდა ან მზე, ან მთვარე,
ან ვარსკვლავთ ელვარებანი,
სამსონის ძალი, მძლეობა
და ან დავითის ებანი?!

—

რას კაჭკუ კრეზის სიმდიდრეს,
სრაო და სასაწალთ შენებას,
სოდომონის სიბრძნესა
და იოსების მშვენებასა?!

—

არც მანდ ჩვენის დროისა
შეკაქნა მათუსადარი...
შენ სარ ჩემ სიცოცხლე,
ჩემის ცხოვრების ძალო!

—

შენს თვალებში ვსეზერეტ მზე-ვარსკვლავსიბრძნესა, ძალეერებასა, დავთ,
მადლს, შუდმივ მიცხოვნებელსა,
ამ ქვეყნის შეკადებასა!..

კენტი

რუსეთის ცხოვრება.

„გრაჟდანინის“ სიტყვით პეტერბურგში მისულ თავად-აზნაურობის წარმომადგენელთა შორის დაბადებული აზრი იმის შესახებ, რომ შუამდგომლობა წარუდგინონ მთავრობას, რათა ნოემბრის მანიფესტით ნაპატიები გარდასახადი გამოანგარიშებულ იქმნას და სათავად-აზნაურო ბანკის მსესხებელთ ამ შოკელ ხანში შესატანს“ გარდასახადში ჩაეთვალოთ. ამ გვარად ამ აზრის მომხრენი თანხმობას აცხადებენ, დროებითის შეღავათისარგებლონ და მომავალში 4%-ის ნაცვლად იგივე $4^1/_2$% იხადონ, ოღონდ ამ ორსაუმს წელიწადს გარდასახადისაგან განთავისუფლებულ იყვნენ.

—

მკითხველებს ეხსომებათ, რომ ხელმწიფე იმპერატორის სამახსოვრო სიტყვები, რომელიც წარმოთქმული იყო პეტერბურგში დეპუტატების წინაშე, გამოწვეული იყო, სხვათა შორის, იმ გარემოებით, როგორც ოფიციალური დეპეშა ჰმოწმობდა მას, რომ ტვერის საგუბერნიო ერობამ კრებაზედ ერთი ცნობილი დადგინება მოახდინა.

ვვზ. „მოსკ. ვედ.“ № 44-ში მოყვანილია დაწვრილებით ამბავი იმის შესახებ, თუ რა გარემოებებში მოხდა ტვერის ერობის ზემოხსენებული დადგინება.

ტვერის ერობის კრება 8 დეკემბერს გუბერნიის მარშლის ოლენინის თავმჯდომარეობით უნდა მოიხდარიყო; მაგრამ იმის ავადმყოფობის გამო თავმჯოდომარეობდა მაზრის მარშალი ბ-ნი ტრუბნიკოვი. როდესაც კრებამ ის დადგინება მოახდინა, პირველი პროტესტი თავისის განსაკუთრებულის აზრით ამ ტრუბნიკოვმა მოაწერა. თუმცა მართებულად მოიქცა ბ-ნი ტრუბნიკოვი ბოლოს, მაგრამ მას უფლება არა ჰქონდა ნება მიეცა კრებისათვის ისეთი საგანი განეხილა, რომელიც იმისი საქმე არ იყოო—ამბობს გაზეთის კორესპონდენტი.

ამნაირის საქციელის გამო ბ. ტრუბნიკოვმა თავისრობისაგან სამღერავი მიიღო კიდეკაო. ამისთანა სამღერავიე გამოეცხადა სხვა 5 მაზრის მარშლებსაც: ბ. ბ. სტრომილოვს, ფონ ჰაგმანს, კვაშნინ-სამარინს, რომსკი-კორსაკოვს და ვსეკოლოფსკის. ზემოდ მოხსენებულმა კრებების დადგენებაზედ და ადრესზედ ხელი მოაწერეს და არავითარი პროტესტი არ გამოაცხადეს.

ადრესის შედგენის ინიციატორს და დამწერს ბ-ნს როდიჩევს აღეკრძალა ამიერიდგან საერო კრებებზედ დასწრება და წვერად არჩევა რომელმე საარჩევნო დაწესებულებაში.

ყველაზედ უტაქტო საქციელი ტვერის ერობისა კორესპონდენტის სიტყვით ის არის, რომ ამ ერობამ სწორედ ეგ ბ-ნი როდიჩევი აირჩია იმ დეპუტაციაში, რომელსაც ხელმწიფე-იმპერატორისათვის მილოცვა უნდა მოეხსენებინა ქორწინების გამო. ამ დეპუტაციაში 3 კაცი იყო არჩეული: როდიჩევი, გოლოვაჩევი და უტკინი. მილოცვის მოხსენების ნება-რთვა მხოლოდ ბ. უტკინს მიეცა პეტერბურგში.

საზოგადოდ 8 დეკემბრის კრება ტვერში ერთობ არეული ყოფილა. დამსწრე საზოგადოება ხმაურობდა და სულ ტაშის კვრით ეგებებოდა კრების ამა თუ იმ გარდწყვეტილებას. კორესპონდენტი იძახის: ეს ხალხი განდევნილი უნდა ყოფილიყო კრებიდგან და ამის საბუთს ევროპაზედ უჩვენებს.

დასასრულს «მოსკ. ვედ.» კორესპონდენტი სცდილობს ის მიზეზები გამონახოს, რომლებმაც ასე [illegible]ასსურველს გზაზედ დააყენეს ტვერის ერობაო. და იპოვა კიდეც.

სულ რაღაც ოც-და-ხუთის წლის განმავლობაში ამ ერობამ გაიჩინაო: სოფლის მოსწავლე ქალთა მოსამზადებელი სასწავლებელი, სტამბა, სტატისტიკური ბიური, წიგნთ-საცავი, პურის სესხის ოპერაცია და შეშლილთათვის საავადმყოფოო; ამასვე თან მოსდევს მრავალის მოსამსახურის ყოლა: ეს მასწავლებელიო, ეს ექიმიო, ბებიაო, მოიჯარადრე, აგენტები და კონტრ-აგენტები და სხვა; რაღა თქმა უნდა, რომ ამოდენა ხალხს ცხოვრება უნდა, ესენი მონდომებულნი არიან ერობა ასე ჰმოქმედებდეს და ამიტომაც ხდება სამწუხარო ამბებიო. ადრესზედ თურმე სახელმწიფო სამსახურის კაცებმაც მოაწერეს ხელი. ეს ხომ იმათ გაუგებრობას უნდა მიეწეროსო—ამბობს კორესპონდენტი. დასასრულ მას შემდეგი ამბავიც მოჰყავს. ტვერიდგან რომ დაბრუნდი, ერთმა ვიღაც ტეტია მეეტლემ მკითხა: გთავდა, ბატონო, ერობის ყრილობანიო? გათავდა მეთქი და როდესაც შემატყო, რომ ტვერელი არ ვიყავი გულ-ხსნილი მითხრა: «ეჰე! მოჰკვდათ თუ არა თავადებსაო!?“

უცხოეთი

ჩინეთი. პეკინის გაზეთის უკანასკნელს ნომერში დაბეჭდილია ჩინეთის იმპერატორის რესკრიპტი ცუნგლი-ჰიაბენუს სახელმბაზედ გამოცემული.

„ჩემს მინისტრებს! სამეფო ტახტზედ ასვლის დღედგან მე თქვენთან ერთად ვმართავდი სახელმწიფო საქმეებს და ჩვენის ერის კეთილ-დღეობაზედ ვზრუნავდი, მაგრამ ეს ჩემი მოდვაწეობა, ხალხის კეთილ-დღეობისადმი მიმართული, იაპონის შეიარაღებულმა ძალამ შესწყვიტა. იაპონიამ ჯერ კორე დაიპყრო და შემდეგ ჩვენს მიწა წყალშიაც გადმოვიდა და მით აღმოსავლეთს ზაზიაში არსებული მშვიდობიანობა დაარღვია. მე ვუბრძანე ჩემს ღენერლებს, რომ გაერეკნათ ამ მყუდროების დამრღვევი იაპონელები და არა ის, რომ თვით იაპონიაშიც მშვიდობიანობა დაერღვიათ. ეს იმ გვარი მოვლენაა, რომ უცხო სახელმწიფოთა-კი იციან. მაგრამ ჩვენი ღენერლები უნივეობი აღმოჩნდნენ და უწინამძღვრებდნენ იმ გვარს რაზმებს, რომლებიც სამხედრო წეს-წყობილებით არ იყვნენ შეკავშირებულნი. ამიტომაც იაპონელებმა თვალსაჩინოდ გაიმარჯვეს და დღეს განსაცდელშია ჩავარდნილი არა მარტო ჩვენი წმიდა ქალაქი მუკდენი, არამედ ჩვენი სატახტო ქალაქი პეკინიც.

მე საშინლადა მრცხვენიან, ასე რომ ვერც-კი გამომითქვამს ჩემი სირცხვილი. მაგონდება ჩემი წინაპარნი, რომლებიც დიდებულად ჰმართავდნენ სახელმწიფო ტახტსა, მაგონდებიან უცხო სახელმწიფონიც, მაგრამ ეს შერცხვენა თქვენზედ არ არის დამოკიდებული. ყველაფერში მარტო მე, თქვენი იმპერატორი, ვარ დამნაშავე. ღენერლები მატყუებდნენ, რის გამოც ჯარმა თავისს დანიშნულებას ვერ მიაღწია. აი მიზეზი, რომ ქვეყანას ასეთი სირცხვილი ვაკმაე. თუ იაპონელებმა მუკდენი აიღეს, მაშინ ჩემი წინაპრები შეგინებული იქმნებიან, ხოლო თუ პეკინი აიღეს, მაშინ მე თავს მოვიკლავ, ჩემი სული გადაფრინდება ჩემს წინაპრების წინაშე და მოითხოვს შენდობას, მოტევებას, რადგანაც ვერ ავასრულე მმართველის მოვალეობა. ძნელი, ძნელი იქმნება ჩემგან შეურაცხყოფილის წინაპრების ცებს: თქვენ საკმარისად გიმუშავნიათ, ეხლა დაისვენეთ; დაარიგო ყმაწვილები: თქვენ ჰხედავთ შრომამსადამდის მიგვიყვანა, მოგვბაძეთ ჩვენ; თქვენ უფრო ნაკლები ჯაჯა დაგჭირდათ ვიდრე ჩვენ, რადგან ჩვენ აკა გყევარო, გიხელმძღვანელებთ და გზას გიჩვენებთო.

აი ამ აზრს ადგნენ ჩვენი გაანასაღლებულები, როდესაც ისინი ერთს მშვენიერს დღეს საფონგეფოისაკენ გაემგზავრნენ. ეს მოგზაურობა უწინდელზედ უფრო მოკლე იყო და, რასაკვირველია, მხიარული. აი, გადავიდნენ ბეულონში. ლილი შორს არ არის აქედგან, იქამდის რკინის გზა მიდის. ტერეზია ბედნიერი და გულაჩუყებული პირველს მოგზაურობას ეხლანდელს ადარებს, შეჰხარის ჯინითა და ხორცით სავსე შვილებს, ლამაზებს და კეთილებს და ღმერთს მადლობასა სწირავს, რომ კურთხეული ჰყო მათი დაბრუნება, სწორედ ისე, როგორც გადასახლება.

იულონი ათვალიერებდა სამშობლოს მიდამოს, თითქოს აღასაც ეძებდა. [illegible]ცებ მოიხმო თავისი ქალი, მიუთითა შორს ხეებისა და სახლების ჯგუფზედ, რომელშიაც სამრეკლოს წვერი მოსჩანდა და უთხრა:

— შეჰხედე, შვილო, აი, შენ იქა ხარ დაბადებული.

ყმაწვილმა ქალმა შეჰხედა: ამან ვერ იცნო ის სამრეკლო, მაგრამ ამის შიუხედავად, რამდენი მოგონებანი აღეძრა გონებაში! ყოველისფერი ის, რასაც უამბობდნენ თავისს სიყმაწვილეზედ და სიღარიბე მშობლებისა, იმათი ცხოვრებასთან შეუპოვარი ბრძოლა, ტანჯვა იმოდენა ხნისა და ყველა ამის შემდეგ ასეთი კეთილი ბოლო... ასეთი დაჯილდოვება შრომისა... ყველა ამან ერთს წამში გაუელვა თავში და მაგრად მოუჭირა ხელი თავისს მამას, თითქოს ამით უცხადებდა მადლობას, რომლითაც გული ჰქონდა აღესებული.

ეხლა, როდესაც ის აწმყოზედ ჰფიქრობს, თავისს ფუფუნებაზედ და ამ უზრუნველს ცხოვრებაზედ, ეხლა უკეთ ესმის თავისი მოვალეობა ცხოვრებაში.

ყველა უღონოსა და ბედკრულისათვის ეკნება მას ღიი კარიკა და თავისი გულიც, რომელნიც-კი ჰსაჭიროებენ იმისს დახმარებას.

ნ. ყიფიანისა.

1895 წ. იანვარი, სოფ. ქვიშეთი.

ჭირო იარადები თანა აქვს და კიდეც იცის, როგორ უნდა იხმაროს; მაშრწმუნება და გამარჯვება!

გადასახლებულები ხანგრძლივის და ძმიე მგზავრობის შემდეგ მივიდნენ ავსტრალიაში. ყოველისფერი ახალია იმათთვის; მიწა-წყალი, ენა და ხალხი. ყოველისფერს უნდა მიეჩვიონ. იმ აზრსაც, რომ გარშემო ყველანი გულ-გრილად უყურებენ. აქ არიან რამოდენიმე ფრანგი, მაგრამ ყველანი კი პატიოსნები არ არიან და იულონი ისე დარცხვენილი იყო იმათ მაგვარად, თითქო იმისთვის ეთქვა ვისმე საყვედური. მაგრამ იულონმა გადასწყვიტა არ მისცემოო ნაღველსა. გადიყარა გულიდგან თავისი დარდები და მხნედ შეუდგა საქმეს; ყოველი მისი შრომა ჯილდოვდებოდა; იულონი ჰგრძნობდა, რომ სიმშვიდე ჩამოვარდა იმის გულში და საღამოზედ, როდესაც ის დაბრუნდებოდა ხოლმე სუფთასა და განთებულს სახლში, სადაც მას ტერეზია და თავისი პატარა ბავშვები ელოდნენ, მადლობას სწირავდა დმერთს და მომავლის მოლოდინით სანეტარო ოცნებებს ეძლეოდა.

ოცნებებს? რისთვის ოცნებობს? ბეჯითს შრომას შეუძლიან ამ ოცნებების სინამდვილეთ გადაქცევა.

დრო მიდიოდა. ტერეზიაც მუშაობდა. ბედზედ მყოფმა მგზავრებმა შეინშნეს, რომ ეს ყმაწყალი ქალი იყო სათნო, შვილებისათვის მზრუნავი, სანდომიანი, პატიოსანი და ამასთანავე ყველასთვის ყოველნაირის დახმარების გამწევი. ამიტომ, როდესაც ტერეზია სამუშაოს ეძებდა ხვეშიც სცდილობდნენ, რომ იმისათვის დახმარება რამ აღმოეჩინათ. ორის წლის შემდეგ იმას თავისი საკუთარი მაღაზია ჰქონდა, ჰყავდა მკერავი ქალები და აგრეთვე შაგირდები. მარტო ტერეზია იმდენს იღებდა, რომ საკმარისი იყო ოჯახის გამოსაკვებად.

იულონიც არ იჯდა გულ-ხელ-დაკრეფილი. იმისმა პირველი ხნის მუშაობამ გაიარა; ეხლა თითონ იყო უფროსი, პატრონი. რამოდენისამე წლის შემდეგ ეს მუყაითი ხელოსანი, ჩინებული მოქალაქე შეიქნა, ის რამდენჯერმე შეჰხვდა ბ-ნს მიტს, რომელიც ხშირად ეტყოდა ხოლმე:

— მე კარგად გეუბნებოდი, რომ ამ ქვეყანაში მხნეობითა და გარჯით ბედს ეწევი მეთქი...

მართლაც, ტერეზია და იულონი გამდიდრდნენ; მაგრამ ამითი არ ამაყობდნენ, თუმცა-კი სრული უფლება ჰქონდათ, რომ ეამაყნათ, რადგან ამათი სიმდიდრე სასიქადულო ჯილდო იყო იმათის ერთგულის ღვაწლისა. იმათ არ დაჰვიწყებიათ თავისი უწინდელი სიღარიბე და იმითი ხელი ყოველთვის გაწვლილი იყო ღარიბ მუშათა დასახმარებლად. ხშირად ელაპარაკებოდნენ თავისს შვილებს საფრანგეთზედ. უამბობდნენ, რამდენად მშვენიერია ის ქვეყანა და რა უბედურები იყვნენ ესენი იქ. მაშოს, მოწიფულს და ლამაზს ქალს, ვანსაბეჯითს მოწყფეს, რომელსაც ეტყობა, საუკეთესო კაცი უნდა გამოვიდეს, უუვართ ეს ამბები და მაშო სულ ამასა სცდილობს, როგორმე წარმოიდგინოს თავისი სამშობლო, რომელიც პატარაობის დროს დასტოვა.

— აღარ დავბრუნდებიით როდისმე? ეკითხება მაშო თავისს დედამას.

ოჰ, უთუოდ დაბრუნდებიან; როდი უნდათ ისე დაიხოცნენ, რომ საფრანგეთი კვლავ აღარ იხილონ იქ იტარჯებოდნენ, მმგრამ რა უყოთ, დაბრუნდებიან ბედნიერნი. რა სიხარულია, ძველი მეგობრების ხელახლად ნახვა, იმათი დახმარება, თუ-კი ამას ჰსაჭიროებენ!..

რა ბედნიერებაა, მიჰმართო მოხუცებულ, ბოლოს, ბოლოს, ეამაყნათ, ეხლა ეამაყნათ, ეხლა ეამაყნათ, ეხლა

ასეთი განზრახვა, სხვათა შორის, ამით აიხსნება, რომ თუ ლი-ხუნგ-ჩანგს არ მოელაპარაკება და დიპლომატიურად თავიდგან აიცილებს ცუდად იმოქმედებს ინგლისსა, საფრანგეთსა და რუსეთზედაო.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა საგენტოსაგან).

16 თებერვალი. *)

პეტერბურგი. «პრავიტელსტვენ. ვესტნიკ.»-ში დაბეჭდილია: 8 თებერვალს ს-პეტერბურგის უნივერსიტეტის დაარსების დღესასწაულის გამო აქტი იყო დანიშნული, რომელმაც მშვიდად ჩიარა. საღამოთი ჩვეულებისამებრ ძველი წლების სტუდენტებმა და ახლებმა საღილები გაჰმართეს. სამწუხაროდ ზოგიერთა ახალგაზდებმა, რომლებიც რესტორანებში იყო გაფანტული, ქუჩაზედ და საზოგადო საკრებულოებში შესამჩნევი ამბოხება მოახდინეს, ასე „რომ წესიერების აღსადგენად „ძალებულნი იყვნენ შეიარაღებულის ძალისთვის მიემართათ. უფრო შესამჩნევი არეულობა მოხდა „პასსაჟში, მიხეილის მანეჟში, ცირკში, „ალკაზარში“ პატარა თეატრში, ტუმპაკოვის სასტუმროში, სვიმთონის ხიდე ან და აგრეთვე შემდეგს ქუჩებზედ: იტალიის დიდს ქუჩაზედ, ეკატერინისაზე, ქარვასლისაზე, ფონტანკაზე, ჩერნიშევის მოსახვევში და ზაგოროდნი პროსპექტზედ, პალკინის სასტუმროს უკან. ყოველ ჩამოთვლილ ადგილას არეულობას ერთგვარი ხასიათი ჰქონდა. მომეტებულად შეზარხოშებული სტუდენტები არავითარს ყურადღებას არ აქცევდნენ თავიანს ამხანაგების რჩევას, ხალხისა და პოლიციის თხოვნას და უწესოდ იქცეოდნენ. ძალ-დატანებით შედიოდნენ სასმელს ადგილებში და თეატრებში ფულებს არ აძლევდნენ, რითაც ხალხისა, პოლიციისა და მეკარეების (дворники) მხრივ წინააღმდეგობას იწვევდნენ. პატარა თეატრში იძულებულნი იყვნენ წარმოდგენა შეეწყვიტათ. ქუჩებზედ შეჭრძოლებას და შეჩიდებას ის შედეგი მოჰყვა, რომ რამოდენიმე კაცი სუბუქად დაიჭრა. სამწუხაროდ ამ დაჭრილთა რიცხვში ისეთებიც მოჰყვა, როგორც ყოველთვის მოხდება ხოლმე, რომლებიც არავითარს მონაწილეობას არ იღებდნენ ამ არეულობაში. როგორც პოლიცია აცხადებს, დაჭრილთა რიცხვი 18-დეა, რომლებიც მაშინვე ექიმებს გაასინჯეს. და ამ ჟამად ყველა გამომრთელდა რამდენიმე კაცის გარდა. ამბოხების დროს პოლიციის მოქმედება იმაში გამოიხატებოდა, რომ ურჩევდა მეამბოხეთ დაწყნარებულიყვნენ და სცდილობდა აგრეთვე, რომ ამბოხება სხვა ადგილებშიც არ გავრცელებულიყო. მხოლოდ ორს შემთხვევაში პოლიციამ ძალას მიჰმართა. მაგალითად, როდესაც სტუდენტები ერთს აფიცერს შეებრძოლნენ, რის გამოც პოლიციამ 8 კაცი შეიპყრო და პალკინის სასტუმროს უკან. რადგანაც სტუდენტები ზარხოშად იყვნენ, ხსენებულს რესტორანში არ უშვებდნენ, მაგრამ სტუდენტების სიმრავლემ დასძლია ამ რესტორანის დამცველი პოლიცია, გადალახა ცემა დაუწყო და რესტორანის შუშის კარები ჩაამტვრიეს. მაშინ ბოჭაულმა შეიარაღებული მეკარენი მოიხმო, რათა ანჩიკის ხიდისკენ გზა შეეკრათ. როდესაც ამბოხებული სტუდენტები უკან დაბრუნეს, მაშინ საერთო შეგრძოლება მოხდა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ხალხმაც, რომელიც აღელვებული იყო სტუდენტების უწესო საქციელით და ვლადიმირისა და ზაგოროდნი პროსპექტებზედ შეხჭედა. ამ შეტაკების დროს დაშავდნენ არა მარტო სტუდენტები არამედ ხალხიც, რომელიც შემთხვევით მოხვდნენ ამ ადგილზედ.

ლონდონი. პეკინიდგან იუწყებიან, რომ უმაღლესის საბჭოს სხდომის დროს პრინგმა კუნგმა გამოაცხადა: „ჩინელები კარგად ჰგრძნობენ თავისს შეცდომილებას. ზოგი-ერთი სარდლები სრულიად უნიჭონი გამოდგნენ. საჭიროა, რაც შეიძლება მალე ჩამოვაგდოთ მშვიდობიანობა; ჩინეთი მხოლოდ მაშინ განაგრძობს ომს, როდესაც ჩვენ გადაპარბებულს პირობებს წარვუდგენთ. იაპონიის ჯარი სულ ხომ ვერ დაიპერს ჩინეთის მიწა-წყალს, ამის ნებას სხვა სახელმწიფოებიც არ მოგვცემენო“. შემდეგ საბჭომ მიიღო პრინცის წინადადება ლი-ხუნგ-ჩანგის გაგზავნის შესახებ.

17 თებერვალი.

პეტერბურგი. 15 თებერვალს მოჰხდა უკანასკნელი კრება სამეფონო საბჭოს პირველის სესსიისა. ამ კრებაზედ დასრულდა სამეფონეო ამხანაგობათა ნორმალურის წესდების განხილვა. თავმჯდომარის აზრით ამ სესსიას ძლიერ დიდი მნიშვნელობა აქვს მეურნეობისათვის. შემდეგ მადლობა გამოუცხადეს იმ სოფლის მეურნეთ და წარმომადგენელთ, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს ამ სესსიაში. თავ. რეპნინმა-კი მადლობა გარდაუხადა მიწათ-მოქმედების მინისტრს იმ ყურადღებისათვის, რომელიც მან მიაქცია სოფლის მეურნეთა აზრსა.

„პრავიტ. ვესტ.“-ში დაბეჭდილია შემდეგი განკარგულება შინაგან საქმეთა მინისტრისა: «მივიღებთ-რა ბზდველობაში, რომ ჟურნალი „ნაბლიუდატელი“ არ აგდებს ძველებურს გზას და არასასურველს მიმართულებას დასდგომია, რის დამამტკიცებელიც არის ამ ჟურნალში დაბეჭდილი წერილი «ახალი გონებრივი მოძრაობა გერმანიაში», რომელიც თანაგრძნობით ეპყრობა სოციალისტურს თეორიებსო, შინაგან საქმეთა მინისტრმა გარდასწყვიტა: გამოეცხადოს ჟურნალს „ნაბლიუდატელ“-ს პირველი გაფრთხილება (первое предостереженіе).

პარისი. სასჯელო საქმეთა მინისტრმა შეადგინა პროექტი ახალის კანონისა ჯაშუშობის შესახებ, რომელიც ამ ჟამად სამხედრო და ზღვათა სამინისტროებს წარედგინა განსახილველად.

ბერლინი, 16 თებერვალი ჩიფუდგან აუწყებენ რეიტერის საგენტოს, რომ ვეი ხაი-ვეის მახლობლად დაბანაკებულნი იაპონელები აიყარნენო: ნიგ-ხაიდგანაც წავიდა ჯარი. იაპონიის უმთავრესი ძალა ტაშენ-ვანისკენ წავიდაო.

ვენა. იმპერატორმა ვილჰელმმა იმპერატორი ფრანც იოსები გერმანიის ჯარების ფელდ-მარშლად დანიშნა.

სტამბოლი. რადგანაც სომხების საქმის გამომძიებელ კომისიის მიერ ჩამორთმეული მოწმების ჩვენებანი ვითომდა გამეღავნდა, ამ კომისიის წევრები მოკალენი არიან გამოძიება დიდის საიდუმლოებით დაიცვან.

ლონდონი. ლორდ როზბერი იმისდა მიუხედავად, რომ უძილობა აქვს, თან-და-თან ჯანსაღდებაო.

18 თებერვალი.

პეტერბურგი. 18 თებერვალი. «პრავიტელ. ვესტნიკ.»-ში დაბეჭდილია შემდეგი ამბავი პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ მომხდარ ამბოხებისა, რომელიც 8 თებერვალს მოახდინეს. სხვათა შორის მეამბოხეთ მის უდიდებულესობის კაბინეტის შენობის დარაჯს სპამი გამოსტაცეს და დაამსხვრიეს. სულ ერთიანად დაამსხვრიეს ბგრეთვე კარის ექიმის გირშის სადგომის კარების შუშები. იგივე გზეთი აცხადებს, რომ ის ხმები, ვითომც ამ ამბოხების დროს სიკვდილისა და ან დასახჩრების მაგალითები იყოფო, ყოველ გვარ საფუძველს მოკლებულია. არც ერთს საავადმყოფოში დაჭრილი არ მოუყვანიათ.

შინაგან საქმეთა მინისტრმა განკარგულება მოახდინა: ერთის თვით აღკრძალულ იქმნას „კიევლიანინ“-ის ცალკე ნომრებად გასყიდვა.

ბერლინი. ხანგრძლივის კ მათრების შემდეგ პარლამენტმა ხმის უმეტესობით (145 ხმა 77 წინააღმდეგ) შეიწყნარა პროექტი ოთხის ახალის სამხედრო ხომალდის აგების შესახებ.

ლონდონი. პარლამენტმა მიიღო განსახილველად კანონი იმის შესახებ, რომ სახელმწიფო და ეკლესიისა ამირიდგან განშორებულ იქმნას ერთმანეთისაგანაო უფლსში.

ხიროშიმიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ 15 თებერვალს დილით ტაპინგ-შანის მახლობლად ჩინელები დამარცხებულ-იქმნენ. ამავე რიცხვში საღამოთი 13,000 ჩინელებმა იერიში ხაიგენგზედ მიიტანეს, მაგრამ უკუქცეულ-იქმნენო.

ნიუ იორკი. ხომალდებმა ამბავი მოიტანეს, რომ კუბის კუნძულზედ მცხოვრებლებს თავისუფლების დროშა აუფრიალებიათ და ესპანიის მთავრობის წინააღმდეგ ამბოხება მოუხდენიათ. 12 თებერვალს 30 წარჩინებული და კეთილ-შობილი დაუპატიმრებია სიზოგადოდ კი 300 კაცია დაპატიმრებული. მთავრობას ამბოხება კუნძულის ერთის მცხოვრების მოღალატეობით გაუგია.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ფგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილამობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათიმთ, ვისაც სპირს სნეულებანი: სახერურგიო, ვენერიული და სიფილისი.

ვ. ᲗᲐ. ᲩᲘᲭᲝᲕᲐᲜᲘ, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

დ. ᲒᲐ. ᲠᲣᲓᲒᲝᲜᲘᲫᲔ, 10—11 საათანეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ექიმი ᲗᲐ. ᲢᲣᲠᲜᲝᲕᲝᲩᲘ. ქალი Ა. 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა.

Ა. ᲤᲐ. ᲑᲠᲝᲪᲘᲡᲔᲕᲘᲩᲘ. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

Ა. ᲒᲐ. **ᲙᲐᲠᲐᲒᲔᲝᲠᲒᲘᲔᲕᲘᲩᲘ,** 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

Ა. ᲒᲐ. ᲒᲣᲠᲒᲝ, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

Ბ. Ა. ᲜᲐᲒᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ, 7—7½ საათამდის.

Ა. ᲒᲐ. ᲒᲣᲠᲒᲝ. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიც აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ** ნავასარდიანი.

(857—1468)

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

დღეს, კვირას, 19 თებერვალს, საოთავად-აზნაურო ბანკის თეატრში ჩვენს დროში მარგალის თავადთ-მაჭმელის და სხვა და-სხვა ორდენების კავალერის **Ე. Ა. ᲙᲝᲜᲯᲚᲝᲕᲘᲡ** მიერ გამართული იქნება სპირიტული და მეფიუმური საღამო სხვა-და-სხვა ილიუზიებისა და ფანტასტიურ მოჩვენებებით; საღამო შესდგება 3 ის განყოფილებიდგან, რომელზედაც კოზლოვი აჩვენებს 50 სხვა-და-სხვა №-ს თვალთ-მაქცობისას. განყოფილება 1): ᲛᲐᲯᲓᲘᲡ ᲓᲠᲝᲘᲡ ᲯᲐᲓᲝ-ᲥᲐᲠᲗᲝᲜᲘ ᲡᲮᲕᲐᲒᲠᲔᲣᲚᲘ ᲡᲣᲒᲔᲠᲔᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐ, 2) ᲤᲐᲕᲘᲠᲝᲗᲘ ᲭᲘᲣᲤᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐ ᲡᲣᲒᲔᲠᲔᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐ და 3) ᲡᲘᲪᲮᲝᲗᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲭᲝᲕᲘᲗᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲬᲘᲠᲕᲔᲑᲘᲡᲐ. ადგილების ფასი დაკლებულია.

ბილეთების მიღება თეატრის კასსაში შეიძლება.

კოზლოვის ცხოვრებისა და 25 წლის მოღვაწეობის წიგნაკიც იქმენ შეუძლიანთ მსურველთ მიიღონ 20 კაპ. (1—1009—1)

ფოთის საერთაშორისო კრედიტის საზოგადოების მმართველობა ამით აცხადებს თავისს წევრებს, რომ კვირას, 19 მარტს, ამა 1895 წელს, დილის 10 საათზედ ფოთის საქალაქო სამმართველოს სადგომში დანიშნულია წევრთა საერთო კრების სხდომა

1) 1894 წლის ანგარიშის განსახილველადა და დასამტკიცებლადა.

2) 1895 წლის ხარჯის დასამტკიცებლადა.

3) მმართველობის დირექტორის ამოსარჩევად შემდეგის სამის წლისათვის ახლანდელის ნაცვლად.

4) საბჭოს ორის დეპუტატის ამოსარჩევად, რომელთაც სამსახურის ვადა უთავდებათ.

5) სარევიზიო კომისიის სამის წევრისა და სამის კანდიდატის ამოსარჩევად.

საზოგადოების მმართველობა თხოვს ყველა წევრებს, ვისაც კ სმა აქვს საერთო კრებაზედ, რწმუნების ქაღალდები სამის დღით ადრე წარმოადგინონ, ე. ი. არა უგვიანეს 16 მარტისა. (3—1004—1)

ᲓᲐᲛᲨᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ

„ᲘᲐᲙᲝᲠᲘ“

(ᲓᲣᲖᲐ)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც ძირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს

გარდა სათადარიგო ფულისა.

ᲓᲐᲖᲦᲕᲔᲕᲐ ᲪᲮᲝᲪᲚᲘᲡᲒᲐᲜ.

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღ-წამოსაღების საქონლისა.

ᲓᲐᲖᲦᲕᲔᲕᲐ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡᲐ.

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა ადარ შეეძლებათ.

მაგალითი: მამა, 30 წლისა, დაბადებიდგან აზღვევებს შვილის სასარგებლოდ თანხას 10,000 მან., იმ პირობით, რომ ეს ფული 21 წლის შემდეგ გადაიხადოს. ყოველ ოთხის თვის შემდეგ ამ დაზღვევისათვის ის იხდის 154 მან. იმ შემთხვევაში კი, თუ მამა ადრე მოკვდება, თუნდ დაზღვევის პირველს წელშიც, დანარჩენ შესატან ფულის გარდახდა შეიენებულ იქნება, ყმაწვილს 20 წლის განმავლობაში მიეცემა წლიურად 500 მან. და ადანშნულ ვადის გასვლის შემდეგ-კითეთ დაზღვეული თანხა—10,000 მ.

წერილობითი განცხადებანი დაზღვევისა მიიღებიან და ყოველგვარ საქმიერ ცნობათა შეტყობა შეიძლება მოსკოვში არსებულს მმართველობაში, კაკასიის ოლქის სამმართველოში ტფილისში (ველიამინოვის ქუჩაზედ № 2) და იმპერიის ყველა ქალაქებს საგენტოებში.

საზოგადოებისათვის საადილოდ დაზღვევა შეიძლება კუკიაშიაც, სასამართლოს მე-3 განყოფილების გვერდით, სახლი ალელოვისა, თეოდორე ალექსანდრეს ძის ივანოვის სადგომში. (100—721—)

*) ეს დეპეშა თავისს დროზედ არ მოგვსვლია.

Дозвено цензурою, Тифлисъ 18-го Февраля 1895 г. სტ. ᲛᲐᲡᲘᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲨᲘᲠᲕᲐᲜᲘᲫᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲘ ᲘᲚᲘᲐ ᲞᲐᲪᲕᲔᲕᲐᲫᲔ.

	მეოდენ. ლისა.	გაზეთ. ᲜᲘᲚᲘᲡᲐ.	გაზეთ. ᲚᲘᲡᲐ.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ტუთ-მანეთიანი ოქრო .	— „	— „	7,42
5% მომგებიანი-გირავნობის	— „	— „	207
ფურცლები სახელმწიფო სათავად აზნაურო ბანკისა . . .	— „	— „	102
4½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა. . .	— „	— „	— „
6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურ. ბანკისა. . .	101	— „	— „
5% იმავე ბანკისა. .	99	— „	— „
6% ტფილისის სათავად. აზნაურო ბანკისა	101	— „	— „
5% იმავე ბანკისა .	99	— „	— „
5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა	98½	— „	— „